*პატივცემულო მკითხველო, „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ „თეთრი მოძრაობის“ (თეთრები) ლიდერის ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის მიმართვა, ალბათ, ბევრმა თქვენგანმა წაიკითხა... (იხ. „ასავალ-დასავალი“, 2014 წლის 30 ივნისი-6 ივლისი, №26(1027), თემურ შაშიაშვილი: „მე ვიბრძოლებ ისეთი ხელისუფლებისათვის, რომლისთვისაც სულ ერთი არ იქნება, რა იწერება მასზე და მის წევრებზე პრესაში...“ გვ. 6). და აი, ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი 8 ივლისს სახალხო სასამართლოს ჩასატარებლად მოსამზადებელ სამუშაოებს იწყებს. გეგმა ასეთია — სახალხო სასამართლო უნდა დაგვირგვინდეს ნდობის რეფერენდუმით და გასამართლდეს ნაცმოძრაობა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ არ გაასამართლა. პარალელურად „ასავალ-დასავალის“ მეშვეობით თეიმურაზ შაშიაშვილი საზოგადოებას იმ დახურული და ტაბუდადებული თემების „გახსნას“ ჰპირდება, რომელთა შესახებაც საუბარს ყველა გაურბის.*




## „ქუთაისის საკრებულოში „ქართული ოცნების“ სახელით შესული დეპუტატების დიდი უმრავლესობა ან ძველი მხედრიონელია, ან — ყოფილი ნაციონალი!“

## *თემურ შაშიაშვილი:*

# უახლოეს მომავალში საზოგადოება შოკში აღმოჩნდება, როცა გაირკვევა, რომ ერთ-ერთი ქალაქის მერი და ერთ-ერთი რაიონის გამგებელი ოფიციალური ჰომოსექსუალები არიან!

**— ბატონო თემურ, მოდით, თქვენი მხილების კამპანია არჩევნების თემით დავიწყოთ... ქუთაისში არჩევნები რატომ წააგეთ?**

— თუ ქუთაისმა თავის გამარჯვებად ის ჩათვალა, რომ **შოთა მურღულიაა** ქალაქის მერი, ამას მივესალმები; მე კი გადავდგი ძალიან რისკიანი ნაბიჯი და არჩევნებში მონაწილეობა მივიღე ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანის თხოვნის გამო, რომლებიც მეუბნებოდნენ — ნუ მიგვატოვებ, გაგვიძეხი, მდგომარეობა უმძიმესია! რისკიან ნაბიჯებს ჩვეული ვარ — ქუთაისში „მხედრიონი“ არ ვაპარპაშე, ქურდები არ ვაპარპაშე, იმ თვითმფრინავში ჩავჯექი რამდენჯერმე, რომელიც უნდა ჩამოვარდნილიყო და ორჯერ დავხვდი და წინ გადავუდექი ტანკებს. ყველაფერი ეს გავაკეთე ჩემი სიცოცხლის რისკის ფასად და თუ ქუთაისის მერი გავხდებოდი, ესეც სიცოცხლის რისკით, რადგან მდგომარეობა მართლაც უმძიმესი და სავალალოა! **7 ათასმა კაცმა მომცა ხმა... ვინც თავისი ნებით მოვიდა არჩევნებზე, მე იქ გავიმარჯვე, ხოლო, ვინც არჩევნებზე მიიყვანეს, იქ სასტიკად დავმარცხდი. მიყვანილ ადამიანებშიც აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც დამირეკეს და მომიბოდიშეს — გვაპატიეთ, რა ვქნათო!** საერთოდ, არჩევნების კატასტროფად მიმაჩნია კოორდინატორები, რომლებსაც 15 ლარად მოჰყავდათ ხალხი არჩევნებზე.

**— თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლებამ არჩევნებზე ფული დაარიგა?**

— ძალიან მარტივ ფაქტს მოვიტან, რომელიც ჯერ არსად გახმაურებულა და ხელისუფლებამ, კეთილი ინებოს და ან დაადასტუროს, ან უარყოს! **მთელი წლის განმავლობაში ქუთაისის ბიუჯეტში გაჭირვებული ადამიანებისთვის წამლების შესაძენად 250 ათასი ლარია გამოყოფილი. 2014 წლის პირველ ოთხ თვეში ფული არ დახარჯულა, მაგრამ მაისსა და ივნისში, 15 ივნისამდე, ანუ არჩევნების დღემდე, იმ 250 ათასი ლარიდან უცბად დახარჯეს 150 ათასი ლარი.** პრაქტიკულად, ბიუჯეტში თანხა აღარ დარჩა და როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითია? ახლა ხალხმა განსაჯოს — მე თუ ტყუილს ვამბობ, პასუხი უნდა მომეთხოვოს, ხოლო, თუ მართალს ვამბობ, მაშინ არის თუ არა ეს მოსყიდვა?

**— ბატონო თემურ, თქვენ ფიქრობთ, რომ იმ 150 ათასი ლარით ხალხი მოისყიდეს?**

— რა თქმა უნდა! როგორ გგონიათ, უშუალოდ არჩევნების წინ მაინცდამაინც მაისსა და ივნისში გახდა ხალხი ავად, ყველას მაშინ დასჭირდა წამალი და იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში მთელ ქუთაისში არავის არაფერი წამოსტკივდა? არ არის ეს კონკრეტული ფაქტი? **როდესაც საარჩევნო ყუთები გადმოაბრუნეს, რა თქმა უნდა, თავში მოექცა იმ ხალხის ხმები, რომლებიც არჩევნებზე ადრე მივიდნენ. ყველა საარჩევნო უბნიდან დამირეკეს, რომ არნახული ტემპით მივდიოდი წინ, მაგრამ 5 საათის შემდეგ, ვინც არჩევნებზე მივიდა, უფრო სწორად მიიყვანეს, არცერთმა ხმა არ მომცა და, მათ შორის, ჩემი მხარდამჭერი არ იყო.**

**— ქუთაისის მერი შოთა მურღულია ვისი კადრია?**

— **ქუთაისის მერი შოთა მურღულია და დავით ნარმანია ერთად მუშაობდნენ სოროსის მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელსაც ერქვა „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტი“.** ეს ორგანიზაცია 2009 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა და, შეიძლება ითქვას, რომ **სოროსის** მიერ დაფინანსებული არასამთავრობო, სადაც მურღულია და ნარმანია მუშაობდნენ, ქება-დიდებას ასხამდა სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“. მე რა მაკვირვებს, იცით? რაღა მაინცდამაინც 12 ივლისს დანიშნეს დედაქალაქში არჩევნების მეორე ტური?

**— რა უჭირს, მერედა რა მოხდა?**

— **12 ივლისი არის პეტრე-პავლობა და არ შეიძლება მართლმადიდებელ ქვეყანაში ამის გაკეთება.** შევარდნაძესთან ჩემი კონფლიქტი მოხდა იმის გამო, რომ 9 აპრილს დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო აღდგომის წინა დღეს იყო ინაუგურაცია.

**— მახსოვს ის ინაუგურაცია, იმ დღეს საშინელმა ქარიშხალმა გადაუარა თბილისს...**

— მე იმ ინაუგურაციას არ დავესწარი... **პეტრე-პავლობა დღეს ვინ ავირჩიოთ — ნარმანია თუ მელია? მაპატიოს უფალმა და ნარმანია არის პეტრე თუ მელია გახლავთ პავლე?** საქართველოში შექმნილი მდგომარეობა თუ გინდა ზუსტად შეაფასო, უნდა გამოხვიდე იქიდან, რომ დღეს თბილისის მერობის კანდიდატები არიან დავით ნარმანია და ნიკანორ მელია! ამით ყველაფერია ნათქვამი... ახლა ძალიან სკანდალურ რამეს გეტყვით, მაგრამ ამას სიძულვილი არ მალაპარაკებს. **უახლოეს მომავალში საზოგადოება შოკში აღმოჩნდება, როცა გაირკვევა, რომ ერთ-ერთი ქალაქის მერი და ერთ-ერთი რაიონის გამგებელი ოფიციალური ჰომოსექსუალები არიან!**

**— ბატონო თემურ, ეს მართლაც სკანდალური განცხადებაა და ამაში დარწმუნებული ხართ?..**

— მე ჯერ ვფიქრობ და მერე ვლაპარაკობ! **ერთ-ერთი რაიონის ახლადარჩეული გამგებელი და მისი მოადგილე არიან „ცოლ-ქმარი“ და ვაი და უი ასეთ საქართველოს!** ქუთაისის საკრებულოში „ქართული ოცნების“ სახელით შესული დეპუტატების დიდი უმრავლესობა ან ძველი მხედრიონელია, ან — ყოფილი ნაციონალი! ამ ხალხს სინდისიც დაკარგული აქვს, ნამუსიც და ღირსებაც. **ბიძინა ივანიშვილი დღეს რომ არის შეშფოთებული, არიქა, გიორგი მარგველაშვილში შევცდი, ეს რა პიროვნება აღმოჩნდაო, წინასწარ არ ვეუბნებოდით და არ ვაფრთხილებდით მარგველაშვილის შესახებ ბიძინა ივანიშვილს?**

**— დიახ, მე ვადასტურებ, რომ ამის შესახებ ჩემთან საგაზეთო საუბრისას არაერთხელ გითქვამთ!**

— დიახ, მითქვამს, მაგრამ ბატონ ბიძინა ივანიშვილს ხომ მართლის მთქმელი კაცი არ უყვარს?! მეფეები ეძებდნენ მართლის მთქმელ კაცს, ბატონ ბიძინას ასეთი კაცი სძულს. მიხეილ სააკაშვილსაც სძულდა მართლის მთქმელი კაცი, მას ისეთი კაცი უყვარდა, ვინც სიმართლეს ჩუმად ეტყოდა, ანუ ენის მიმტანებს აღმერთებდა. **ტყუის ბატონი ბიძინა ივანიშვილი — გიორგი მარგველაშვილი ვინც იყო და როგორიც იყო გაპრეზიდენტებამდე, ისეთივეა დღეს! არანაირი სახეცვლილება მარგველაშვილში არ მომხდარა და კაცმა გარკვევით უთხრა მთელ საქართველოს, პლასტელინი ვარო!** რა ღირსებაც აქვს მარგველაშვილს, ნუ წავართმევთ, რადგან კაცმა თავისი პირით აღიარა, ვინც არის. **კაცი მთელი თავისი ცხოვრება იყო და არის სოროსელი, კაცი იდგა საქართველოში ამერიკულ „ენდიაის“ სათავეებთან და რას ითხოვს მისგან ბიძინა ივანიშვილი?** ძველ რომში კონსულად არ აირჩევდნენ და ვერც კენჭს იყრიდა ისეთი კაცი, რომელიც წინა ხაზზე ორჯერ მაინც არ იყო დაჭრილი. ბიოგრაფია არის ადამიანი... **გაიგე, შეისწავლე მარგველაშვილის ბიოგრაფია და არაფერი გასაკვირი არ იქნება იმაში, რასაც დღეს ის სჩადის.** ნაციონალური მოძრაობა ვინც არის და რაც არის, ხალხმა კარგად იცის და მათგან არავის არაფერი უკვირს, მაგრამ ბიძინა





**„ქუთაისის მერი შოთა მურღულია და დავით ნარმანია ერთად მუშაობდნენ სოროსის მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელსაც ერქვა „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტი“. ეს ორგანიზაცია 2009 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა!“**

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



**ევროკავშირში მაშინ ვიქნებით შესულნი, როცა „სამარშრუტო ტაქსში“ თუ ავტობუსში ჩვენს გვერდით რომელიმე მინისტრს თუ დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავინახავთ** და ეს იქნება არა გასაკვირი და გასაოცარი ამბავი, არამედ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფის ერთი უმნიშვნელო დეტალი.

„საერთო გაზეთი“

**ლევან კალანდაძე**
*ეკონომიკის ექსპერტი*



**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური ნაბიჯი, რომელიც ქართულმა სახელმწიფომ უახლეს ისტორიაში გადადგა.**

„საერთო გაზეთი“

**მიხეილ ხუჯაჯია**
*მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი*



**ევროპას არაფრად სჭირდება ღარიბი და ლატაკი ქვეყანა. არა მგონია, ამ ხელმოწერამ საქართველოს ეკონომიკას რამე სასიკეთო მოუტანოს. ჩვენი პროდუქცია არასოდეს წავა ევროპაში.** ისევე როგორც მეეჭვება, ინვესტიციები შემოვიდეს საქართველოში. ერთადერთი, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და მეტი არაფერი.

„პრაიმტაიმი“

**დემურ გიორხელიძე**
*ეკონომიკის ექსპერტი*



**ეს 1135-გვერდიანი დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, სულ ოციოდე კაცმა წაიკითხა და, საუბედუროდ, მათ შორის მეც ვარ!**

„კვირის ქრონიკა“